1 ფენა-1 - ნაყარი;

2 ფენა-2 - ტბიური, თიხოვანი გრუნტი;

3 ფენა-3 - კენჭნარი;

4 ფენა-4 - ძირითადი ქანების არგილიტებისა და ქვიშაქვების ალუვიონი;

5 ფენა-5 - ნაკლებად გამოფიტული არგილიტები და ქვიშაქვები.

ანგარიშში დახასიათებულია თითოეული ფენა, მოცემულია მათი საანგარიშო მნიშვნელობები.

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე ავტორი იძლევა რეკომენდაციებს ფუძე-გრუნტების შერჩევისათვის. მას ოპტიმალურ ვარიანტად მიაჩნია ფენა-5, ხოლო საძირკვლად გამოყენებული იქნეს რკინაბეტონის ფილა, რასაც ვეთანხმებით.

გრუნტის წყალი გამოვლენილი იქნა ზედაპირიდან საკმაოდ ღრმად (7.8–8.0 მ). წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობის მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლის აშენების მიზნით ჩატარებულია პროფესიულ დონეზე. ცალკეული შენიშვნები ჩვენ მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექ. მეცნ. დოქტ. პროფესორი გ. ჭოხონელიძე